ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010105165680115

№16/49992 **10** / ნოემბერი / **2015** წ.

შპს „ჰაუს გრუპი"-ს
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ. #10ვ
ს/კ405060927

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-6^2 მუხლის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-97 დადგენილების შესაბამისად;

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-97 დადგენილების დამტკიცებული დანართით განსაზღვრული წესით სამსახურისათვის განცხადებით მომართვის შემთხვევაში სამსახური აცხადებს თანხმობას განახორციელოს სახელმწიფო-ტენიკური ზედამხედველობის მომსახურება და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია შემდეგ სამშენებლო ობიექტზე:

შენობა–ნაგებობის მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის მე-4 მ/რ #10ვ

შენობა–ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

შენობა–ნაგებობის კლასი: მე-4

მომსახურების ფორმა: 2 შემოწმება

მოსაკრებლის ოდენობა: 2500 ლარი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA0101065890466l5

№16/79513

16 / დეკემბერი / 2015 წ.

შპს „ჰაუს გრუპი"-ს წარმ. რევაზ თოდუას
არაყიშვილის 29
62006025471

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N96266/12 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 07.05.2015წ. N1884669 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი #10ვ-ში თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

რიგელები გამოსულია ფასადებზე. შეცვლილია ნაწილი ვიტრაჟების გაბარიტი, ნახატი და ადგილმდებარეობა. კიბის უჯრედში დამატებულია კოლონები. მონოლითური კედლების ნაწილი არ არის აღნიშნული. „გ-გ" ღერძზე დიაფრაგმაში დამატებულია ღიობები ან გაზრდილია მათი გაბარიტი. „ა-დ" და „დ-ა" ფასადებზე შეცვლილია კარების გაბარიტები.

-7.25 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.3მ-ით. „1-2" მონაკვეთში მოწყობილია ორი ფანჯარა. „4-5" მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტი.

-4.10 ნიშნულზე ნაწილობრივ ამოშენებულია აივნები და გაზრდილია შიდა ფართი. „გ-ბ" ღერძებს შორის გაზრდილია ფილის გაბარიტი და დამატებულია კარების ღიობი. „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა. ±0.00 ნიშნულზე „გ-ბ" მონაკვეთში კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი, შემცირებულია შიდა ფართი და ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი. შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა. „გ-დ" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟის გაბარიტი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გვჯაძე